

შპს ქუთაისის სატრანსპორტო კომპანია

2024 წლის ფინანსური ანგარიში

ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა			
	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	61020	315881	28051
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	0	28757	27528
მარაგები	38201	97991	105037
სხვა	38201	97991	105037
ძირითადი საშუალებები	127160	156441	135288
სულ აქტივები	226381	599070	295904
ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები	14203625	10931817	7974425
სულ ვალდებულებები	14203625	10931817	7974425
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-13977244	-10332747	-7678521
სულ საკუთარი კაპიტალი	-13977244	-10332747	-7678521
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	226381	599070	295904
სულ მოკლევადიანი აქტივები	61020	315881	28051

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები		
ნეტო ამონაგები	31/12/2024	31/12/2023
მომსახურების გაწევიდან	4807373	4824703
სხვა	4729778	4723011
საერთო მოგება	77595	101692
დასაქმებულთა ანაზღაურება	4807373	4824703
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-3692138	-3311400
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-30011	0
სულ საოპერაციო ხარჯები	-4729721	-4167529
საოპერაციო მოგება	-8451870	-7478929
	-3644497	-2654226
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-3644497	-2654226
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-3644497	-2654226
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-3644497	-2654226
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	-10332747	-7678521
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-13977244	-10332747

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2024	31/12/2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	7766958	7521532
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-8021819	-7233702
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-254861	287830
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	315881	28051
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	61020	315881

შპს ქუთაისის სატრანსპორტო კომპანია
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (ლარი)
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შესავალი

კომპანია და მისი ოპერაციები

შპს “ქუთაისის სატრანსპორტო კომპანია” (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას.

კომპანია რეგისტრირებულია 2020 წლის 14 იანვარს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდი - 412750713. იურიდიული მისამართია - საქართველო, ქუთაისი, შოთა რუსთაველის გამზ., N 3; ფაქტიური მისამართია ქუთაისი, სულხან-საბას 71ა; დირექტორი - ირაკლი ცხვედიანი, 60001130018

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ქალაქ ქუთაისში მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრების გადაყვანა.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100% წილის მფლობელია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი, 212721170

კომპანიას არ ჰყავს შვილობილი საწარმოები.

2. შედგენის საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღიცხვო პოლიტიკა

განცხადება შესაბამისობის თაობაზე

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ("მსს ფასს") მიხედვით.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს მთელზე თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

კომპანიის სამომავლო ფუნქციონირების საკითხი.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის ფუნქციონირების განგრძობითობის კონცეფციის საფუძველზე. ამ გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა საქართველოში არსებული მაკროეკონომიკური გარემო, დადებითი ფულადი ნაკადები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივი ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა.

შესაბამისად, კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ კომპანია მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს ქალაქში ოპერირებას.

შპს ქუთაისის სატრანსპორტო კომპანია
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (ლარი)
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმომ ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება უნდა შეაფასოს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალს ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ ღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულება.

როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალებები, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული საქმიანობისთვის, აღრიცხულია მის თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით. მოგება და ზარალი რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშებში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთა

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივების სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

სასიცოცხლო პერიოდი

შენობა ნაგებობები 20 წელი

ოფისის აღჭურვილობა და სხვა 5-10 წელი

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს

მპს ქუთაისის სატრანსპორტო კომპანია
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (ლარი)
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შესყიდვის ფასს და შეძენასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირდაპირ ხარჯს.

ამონაგების აღიარება

კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოდგენს მგზავრების შიდა საქალაქო გადაყვანა. ამონაგები მგზავრებიდან ხდება მომენტალურად მომსახურების მიღებისთანავე.

მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის ყველაზე დაბალი ღირებულებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მიყვანასთან.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს მომავალ პერიოდში. საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის სხვადასხვა ინტერპრეტაცია.

თავდაპირველი აღიარება დაკავშირებულია მხარის ოპერაციებთან. ჩვეულებრივად, კომპანია აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. სტანდარტი მოითხოვს, ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებით. მსჯელობა გამოიყენება იმის განსაზღვრად შეესაბამება თუ არა ტრანზაქცია საბაზრო თუ არა საბაზრო ღირებულებას, იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, რისთვისაც ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორებს, ისეთებს როგორცაა ტექნიკური მხარე, კომერციული გამოყენება, ძირითადი საშუალებების გამოყენების ვადა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს საუკეთესო გზით შეაფასოს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა, ის შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს ქუთაისის სატრანსპორტო კომპანია
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (ლარი)
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე 61020 ლარი

მიმდინარე ანგარიშები განთავსებულია საქართველოს ბანკებში (თიბისი ბანკში).

საინვესტიციო ქონება

ძირითადი საშუალებები

ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სულ თავდაპირველი საბალანსო ღირებულება 154469,86 ლარი, ცვეთა - 30011,46 ლარი და ნარჩენი ღირებულება - 127160 ლარი

მანქანა-დანადგარები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თავდაპირველი საბალანსო ღირებულება 4112 ლარი, ცვეთა 485 ლარი, ნარჩენი - 3627 ლარი.

ოფისი აღჭურვილობა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თავდაპირველი საბალანსო ღირებულება 12947 ლარი, ცვეთა 2320,42 ლარი და ნარჩენი ღირებულება - 10627,08 ლარი.

ავეჯი და სხვა ინვენტარი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თავდაპირველი საბალანსო ღირებულება 137410,36 ლარი, ცვეთა - 27206,04 ლარი და ნარჩენი ღირებულება - 110204,32 ლარი.

არამატერიალური აქტივი (ორისის პროგრამა) 3276,86 ლარი, ცვეთა - 575,37 ლარი, ნარჩენი ღირებულება - 2701,49 ლარი.

ამონაგები

2024 წელს მიღებული შემოსავალი 4807373 ლარი

შიდა საქალაქო გადაზიდვებიდან შემოსული შემოსავალი - 4729778 ლარი

ავტობუსებზე არსებული სარეკლამო ბანერებიდან შემოსული შემოსავლები - 77595 ლარი

სულ საოპერაციო ხარჯები შეადგენს 8451870 ლარს

მ.შ.

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები 1 446 002 ლარი

დარიცხული ხელფასები - 3692138 ლარი

სატრანსპორტო საშუალებებზე გაწეული პერიოდული მომსახურების ხარჯი - 446 065 ლარი

შპს ქუთაისის სატრანსპორტო კომპანია
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (ლარი)
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სატრანსპორტო საშუალებებზე გაწეული საწვავის ხარჯი - 2 814 474 ლარი

კომუნალური ხარჯი (ელ.ენერგია, წყალი, ბუნებრივი აირი) 91 168 ლარი

მიღებული სუბსიდია - 2 744 570 ლარი

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა)უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში

ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში

გ)ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან.

გაუთვალისწინებელი გარემოებები

კანონმდებლობა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ამოქმედდა მოგების გადასახადის დაბეგვრის ახალი რეჟიმი - ე.წ. „ესტონური მოდელი“, რომელიც თვისებრივად განსხვავდება მანამდე მოქმედი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეჟიმისაგან. ამასთან, დაბეგვრის ეს რეჟიმი არის იშვიათი, კერძოდ, საქართველო არის მეორე ქვეყანა ევროპაში (ესტონეთის შემდეგ), რომელმაც მოგების გადასახადით დაბეგვრის ეს მოდელი აირჩია. მოდელის თავისებურები, თვისობრივი სიახლე და საგადასახადო პრაქტიკის არარსებობა ქმნის გარკვეულ განუზღვრელობას მოგების გადასახადით დაბეგვრის საკითხში. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ მის მიერ განხორციელებული მიდგომა საგადასახადო საკითხების მიმართ ადეკვატურია ამ მომენტში საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო

შპს ქუთაისის სატრანსპორტო კომპანია
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (ლარი)
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ინტერპრეტაციების მიმართ.

სასამართლო დავები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის წინააღმდეგ მიმდინარეობდა ერთი სასამართლო
დავა, რომელიც 2024 წელს დასრულდა კომპანიის სასარგებლოდ.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ განვითარებული მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ მომხდარა რაიმე სახის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც
საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.